შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №3553

2022 წლის 14 თებერვალი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული:

ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №8) მე-8 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ე^{1}“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ე^{1}) სალაროში არსებული ნაღდი ფულის ოდენობის განსაზღვრა და საბუღალტრო დოკუმენტაციაში მითითებულ მონაცემებთან შედარება დადგენილი პროცედურის შესაბამისად;“;

ბ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №10):

ბ.ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლს. ასევე, დადგენილი პროცედურის შესაბამისად სალაროში არსებული ნაღდი ფულის ოდენობის განსაზღვრას და ინფორმაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის წარდგენას;“;

ბ.ბ) მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ1“ ქვეპუნქტი:

„დ^{1}) დადგენილი პროცედურის შესაბამისად სალაროში არსებული ნაღდი ფულის ოდენობის განსაზღვრას და ინფორმაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის წარდგენას;“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი **ლევან კაკავა**